უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

05.09.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, პროგრამის დირექტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნოდარ შურღაია - შპს ,,დასაქმების სააგენტო ეიჩარის" დირექტორი;
მიხეილ ჩხენკელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათელბის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო მეგრელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათელბის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ანზორ დიასამიძე - რექტორი;

მზია დიასამიძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

მამუკა გოგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრატორი;
ნუგზარ ლომიძე - ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ციური დურული;
თამარ რემიშვილი;
დიანა გახარია;
თამარ ნასყიდაშვილი;
მარიამ მიქაძე.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:12 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 5 სექტემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები - მაია ჩიხლაძე და მამია ჯანჯალია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას, შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით საბჭოს მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა. ექსპერტის განმარტებით, მონიტორინგის ვიზიტი იყო გეგმიური და მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების სტანდარტების პირობების შესრულების შემოწმებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განაცხადებით, 1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) იყო არასრულყოფილი. იგი პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესახებ მოიცავდა ზოგად ინფორმაციას და არ იყო დაკონკრეტებული თითოეული პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები. ამასთან, ვიზიტის მომენტისთვის კატალოგი არ იყო განთავსებული სასწავლებელის ვებგვერდზე.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- კოლეჯს ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო. კეთილმოუწყობელი და ფაქტიურად არაადაპტირებული იყო სველი წერტილი. უნდა აღინიშნის, რომ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველებს მოეთხოვებათ დამატებითი სამედიცინო შემოწმება ზღვაში მუშაობის ვარგისიანობის შესახებ, რაც დასტურდება პროგრამების დაშვების წინაპირობაში მითითებული სავალდებულო მოთხოვნით ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100) წარმოდგენის შესახებ, ანუ სსსმ პირთა ჩარიცხვა პროფესიულ სტუდენტად გამორიცხულია;
- ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას ვებგვერდთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი გარემოება: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრში მითითებული ვებგვერდის მისამართიდან ვერ განხორციელდა კოლეჯის ვებგვერდის გახსნა. აღმოჩნდა, რომ დაწესებულება ფლობდა ორ ვებგვერდს - www.mtc-anri.ge და www.mtc-anri.edu.ge, რაც მითითებული ჰქონდა 2016 წლის თვითშეფასების ანგარიშშიც. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობდა ვებგვერდზე - www.mtc-anri.edu.ge ინფორმაციის ატვირთვის სამუშაოები. შესაბამისად, ვიზიტის მომენტისთვის გარკვეული სავალდებულო ინფორმაცია ვებგვერდზე (www.mtc-anri.edu.ge) არ იყო სრულყოფილად ატვირთული, ესენი იყო: საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და კატალოგი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- პროფესიულ მასწავლებლებთან დაწესებულება იყენებდა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის შემუშავებულ შრომითი ხელშეკრულების ტიპურ ფორმას, საიდანაც არ იკვეთებოდა მასწავლებლის პროფესიულ პროგრამაზე მუშაობის სპეციფიკა.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები გაითვალისწინა დაწესებულებამ და მათი გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ცენტრში.

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 19-21 ივნისს, შესაბამისად, კოლეჯს ჰქონდა 3 თვიანი ვადა გამოესწორებინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადასტურებდა, რომ შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის მიერ გამოსწორებულ იქნა შენიშვნები.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესდა, დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ძირითადად ფლობდა მათი სპეციფიკის სასწავლო ლიტერატურას. ამასთან, 400-მდე რიდერი ჰქონდთ შექმნილი ასევე, საზღვაო მიმართულებით. სასწავლო მასალა იყო მუდმივად განახლების პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, ციური დურულმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი და პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად დაწესებულებაში და რამდენი სტუდენტის მიღება სურდათ აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათელბლო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 40 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი სწავლობდა. ხოლო აკადემიურ საგანმანათელბლო პროგრამებზე დაწესებულებას სტუდენტი არ ჰყავდა. რაც შეეხებოდა, სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიულ საგანმანათელბლო პროგრამას, დაწესებულების სურვილი იყო 24 პროფესიული სტუდენტი მიეღოთ.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესდა, დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსებით და ასევე, იყო თუ არა ის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართული.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას 2007 წლიდან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ა(ა)იპ – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან აკადემიის სერვერზე ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის OPEN BIBLIO–ს დაინსტალირებაზე, ხოლო საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველსაყოფად აკადემიას 2007 წლიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან პროექტ „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის –eIFL“ მონაწილედ დარეგისტირირების თაობაზე, რომელიც სასწავლებელს საშუალებს აძლევს გამოიყენოს ელექტრონული რესურსები. აკადემიის წიგნადი ფონდი განთავსებული იყო სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში "openbiblio".

ირაკლი ღარიბაშვილმა განმარტა, რომ ხშირ შემთხვევაში ექსპერტებიც და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგელებიც „openbiblio“ სისტემას, არასწორად განმარტავენ, როდესაც საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობაზე საუბრობენ. „openbiblio“ წარმოადგენდა ინტერგრირებულ და ავტომატიზირებულ საბიბლიოთეკო სისტემას, ერთგვარ ელექტრონულ კატალოგს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სტუდენტთა ადგილების ცვლილების თაობაზე. კერძოდ, მისი განმარტებით დაწესებულების სურვილი იყო, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან - 300 ადგილიდან, 50 ადგილი განსაზღვრულიყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდნეტებისთვის და 250 ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ცვლილება წარმოადგენდა ცალკე ადმინისტრაციული წარმოების ნაწილს და დღევანდელი განხილვის საგანი ეს ვერ იქნებოდა. შესაბამისად, საბჭო არ იყო უფლებამოსილი აღნიშნულ სხდომაზე განეხილა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გაზრდის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 24-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 24-ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	სადაზღვევო აგენტი	მეოთხე	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	124	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. N8

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, დიანა გახარიამ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ვებ ინტერფეისის დეველოპერი (მესამე საფეხური); ვებ ინტერფეისის დიზაინერი (მესამე საფეხური); ვებ პროგრამისტი (მეხუთე საფეხური); ბუღალტერ-ტექნიკოსი (მესამე საფეხური); ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მეხუთე საფეხური); მეფუტკრე (მესამე საფეხური); ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებელი (მესამე საფეხური). მისი განმარტებით, სამივე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებული იყო.

დაწესებულების წარმომადგენლემა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ყველა იმ რეკომენდაციას, რაც მათ მიერ იქნა დაფიქსირებული დასკვნაში. მან ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 7 სექტემბრიდან სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვის სამსახური, რომელიც გაუწევს კოორდინირებას აღნიშნული პროგრამების განხორციელებას. წარმომადგენლის განმარტებით, გამრავალფეროვნდა ასევე, პრაქტიკის ობიექტები.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ მისი რეკომენდაცია იქნება, დაწესებულებამ სივრცობრივად გამიჯნოს ერთმანეთისგან აუდიტორიები პროფესიული და უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის. ამასთან მიზანშეწონილია, მეტი ყურადღება მიექცეს საწარმოო პრაქტიკას პროფესიული პროგრამების განხორციელებისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუდიტორიები ამ ეტაპზეც გამიჯნული იყო და სამომავლოდ იგეგმებოდა ახალი სასწავლო კორპუსის აშენება პროფესიული სტუდენტებისთვის.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მისიაში არაა საერთოდ მოხსენიებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან, დაწესებულების მისია პირდაპირ კავშირში ოყო დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან. დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაშიც არაფერი იყო აღნიშნული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას მოახსენებდნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ, მათი მისიის შინაარსსა და სტრატეგიულ გეგმებს. ამასთან, ეს საკითხი არა მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელობის, არამედ მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოების განხილვის საგანი უნდა იყოს.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 700 - ადგილს. ამჟამად დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლობდა 50 - სტუდენტი. აღნიშნული პროგრამების დამატების შემთხვევაში, მათ განსახორციელებლად სულ 410 - ადგილი იქნებოდა ჯამში გათვალისწინებული.

საბჭოს მოწვეული წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული ამ რაოდენობის ადგილების მოთხოვნა, კერძოდ, შესწავლილი იყო თუ არა არსებული ბაზრის მოთხოვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებულ იქნა დასაქმების ბაზრის კველვა, ასევე სტუდენტთა გამოკითხვებმაც გარკვეული სურათი შეუქმნა დაწესებულებას. განხორციელებული კვლევის შედეგები განთავსებული იყო დაწესებულების ვებ გვერდზეც. ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით არ ჩატარებულა კვლევა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ვებ ინტერფეისის დეველოპერის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ვებ ინტერფეისის დიზაინერის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ვებ პროგრამისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბუღალტერ-ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მეფუტკრის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებლის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 8
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245428158) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	მესამე	ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	92	40	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35
2	ვებ ინტერფეისის დიზაინერი	მესამე	ვებ ინტერფეისის დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	95	40	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35
3	ვებ პროგრამისტი	მეხუთე	ვებ პროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	171	80	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35
4	ბუღალტერ - ტექნიკოსი	მესამე	ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	93	60	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35
5	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	162	100	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35
6	მეფუტკრე	მესამე	მეფუტკრის მესამე საფეხურის	99	45	ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. N5

			პროფესიული კვალიფიკაცია			
7	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი	მესამე	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დაიგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	87	45	ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 16:20 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თუთა ნარმანია